

## წინასიტყვაობა



2021 წელს საქართველო პირველი კონსტიტუციის 100 წლის იუბილეს აღნიშნავს. 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია - დოკუმენტი, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის

უდიდესი ისტორიულ-პოლიტიკური და სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. 1921 წლის კონსტიტუცია გამორჩეულად პროგრესული დოკუმენტი იყო, რომელიც სრულად უწყობდა ფეხს იმდროინდელ ევროპულ სამართლებრივ ტრადიციებს. საქართველოს პირველი კონსტიტუციის პროგრესულობის მახასიათებელ ნათელ გამოვლინებას წარმოადგენს ის, რომ კონსტიტუციით გარანტირებული იყო კანონის წინაშე ყველას თანასწორობა, წოდებრივი განსხვავების არარსებობა, ქალთა საარჩევნო უფლება, გაუქმებულ იქნა სასჯელის სახედ სიკვდილით დასჯის გამოყენება, განმტკიცებულ იქნა სეკულარული სახელმწიფოს პრინციპი, ისევე როგორც უმცირესობათა და სხვა ძირეული სამოქალაქო-პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური უფლებები. ცალკე აღნიშვნის ღირსია 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების პროცესი, რომელიც საკითხის სიღრმისეულ, ყოვლისმომცველ შესწავლასა და ევროპული ტრადიციების საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას ეფუძნებოდა და, ამასთანავე, იყო ინკლუზიური, თანაბრად აერთიანებდა რა დამფუძნებელი კრების ყველა პოლიტიკურ პარტიას. პირველი კონსტიტუციის შემუშავებისა და განხილვის პროცესის ქრონიკა ერთმნიშვნელოვნად წარმოაჩენს ქართული პოლიტიკური კლასის მოწიფულობას. 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივი მემკვიდრეობა საქართველოს სახელმწიფოებრივი ტრადიციების საფუძველი და მისი მომავალი განვითარების საწინდარია. სწორედ ამ მემკვიდრეობას ეყრდნობა საქართველოს დღეს მოქმედი კონსტიტუცია.

„საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალის“ წინამდებარე ნომერი სპეციალური გამოცემაა, რომელიც სწორედ საქართველოს პირველი კონსტიტუციის თემატიკას, მისი ნორმატიული გადაწყვეტების შინაარსობრივ ანალიზსა და ღირებულებითი მემკვიდრეობის გააზრებას

ედღვნება. გამოცემა აერთიანებს ათ აკადემიურ ნაშრომს როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ავტორებისაგან. სასიხარულოა, რომ ჟურნალში მოცემულია ცნობილი ევროპელი კონსტიტუციონალისტის, რეგენსბურგის უნივერსიტეტის პროფესორ რაინერ არნოლდის ნაშრომი, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ნორმატიულ-ღირებულებითი საფუძვლების, მისი მიზნებისა და ამოცანების ანალიზს ეთმობა თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის პრინციპების შუქზე.

ჟურნალში ასევე თავმოყრილია ქართველი მეცნიერ-მკვლევარების ნაშრომები საქართველოს პირველ კონსტიტუციასთან არსებითად დაკავშირებულ მრავალ საკითხზე, კერძოდ: საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით დეკლარირებული ღირებულებების გააზრება ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციონალიზმის პრიზმიდან (კონექტიკუტის უნივერსიტეტის დოქტორანტის, ირაკლი კლდიაშვილის ავტორობით), პირველი კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების პროცესის, ასევე, იმ ძირეული პრინციპების – ერის დამოუკიდებლობისა და პიროვნული თავისუფლების – გაანალიზება, რომელსაც დაეფუძნა 1921 წლის კონსტიტუცია (პროფესორ მალხაზ მაცაბერიძის ავტორობით), პირველი კონსტიტუციის შემუშავებისა და შინაარსთან დაკავშირებული რამდენიმე მითის გააზრება (პროფესორ დიმიტრი გეგენავას ავტორობით), 1921 წლის კონსტიტუციით განსაზღვრული სახელმწიფო ხელისუფლების მოწყობის სიღრმისეული ანალიზი, მისი შეფასება უშუალო დემოკრატიის იდეის თეორიული ჩარჩოდან (ასოც. პროფესორ ვახუშტი მენაბდის ავტორობით), დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც კონსტიტუციის მუდმივი და უცვლელ ნორმად ჩამოყალიბების განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტის, პაატა ჯავახიშვილის ავტორობით), სოციალური უფლებების თეორიასა და პრაქტიკაში არსებული საერთაშორისო ტენდენციების ფონზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული პრაქტიკის გაანალიზება (ლუნდის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მაგისტრის, ნიკა არევაძის ავტორობით), აკადემიური თავისუფლების კონსტიტუციური უფლების შინაარსობრივი სტანდარტების გააზრება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს კანონმდებლობისა და იურისპრუდენციის ანალიზის საფუძველზე (სამართლის დოქტორის, რევაზ ხოფერიას ავტორობით), სიცოცხლის კონსტიტუციური უფლების დაცული სფერო კლიმატის ცვლილების კონტექსტში (დანდის უნივერსიტეტის გარემოსდაცვითი სამართლის მაგისტრის, ანა ბერიძის ავტორობით) და პირველი კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებათა

კატალოგის დანაწესის – რომ კონსტიტუციაში მითითებულ უფლებებს არ აქვთ ამომწურავი ხასიათი – შეფასება საქართველოს დღეს მოქმედი კონსტიტუციის შუქზე (ავტორები: გულიკო მაჭარაშვილი, სამართლის მაგისტრი და თამარ ონიანი, საერთაშორისო სამართლის მაგისტრი).

იმედს გამოვთქვამ, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალის“ წინამდებარე გამოცემა ღირებულ წვლილს შეიტანს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის, მისი სამართლებრივ-ღირებულებითი მემკვიდრეობის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და კვლევაზე დაფუძნებული დისკუსიის წარმართვის პროცესში.

პროფესორი **მერაბ ტურავა**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე